www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

2023 წელი

29.02.2024
www.geostat.ge

29.02.2024

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა
(2023 წელი)

2023 წელს საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 1 278.8 ათასით განისაზღვრა, რომელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1 599.4 ათასი ერთეული შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა 6.2 პროცენტით, ხოლო მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 17.5 პროცენტით აღემატება 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

დიაგრამა №1 ასახავს 2022-2023 წლებში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობებს.

დიაგრამა №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა



2023 წელს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 693.2 ათასით განისაზღვრა, რაც 8.1 პროცენტით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. დიაგრამა №2 ასახავს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



2023 წელს ვიზიტორების 36.6 პროცენტი მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ამასთან, ქალების რაოდენობა ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 54.5 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2023 წელს



დიაგრამა №4

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით 2023 წელს



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 34.6 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 16.9 პროცენტი მოდის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, 9.6 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით არის წარმოდგენილი.

დიაგრამა №5 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით.

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით 2023 წელს



2023 წელს ვიზიტების უმრავლესობა (47.2 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით.

ცხრილი №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით 2023 წელს, ათასი

ვიზიტის მიზანი	რაოდენობა	წილი, %
მეგობრების/ნათესავების მონახულება	755.5	47.2
შოპინგი	281.8	17.6
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	175.4	11.0
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	153.0	9.6
მკურნალობა, გაჯანსაღება	135.4	8.5
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	41.2	2.6
სხვა	57.1	3.6
სულ	**1 599.4**	**100.0**

საანგარიშო პერიოდში ვიზიტების ყველაზე დიდი ნაწილი განხორციელდა ქ. თბილისში (საშუალოდ 368.2 ათასი ვიზიტი თვეში) და იმერეთის რეგიონში (საშუალოდ 342.6 ათასი ვიზიტი თვეში). დიაგრამა №6 ასახავს ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2023 წელს



დიაგრამა №7 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

დიაგრამა №7

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით 2023 წელს



2023 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 278.0 მილიონი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 12.0 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამასთან, ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი შემცირებულია 4.7 პროცენტით და 173.8 ლარს უტოლდება.

29.02.2024

ცხრილი №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით 2023 წელს

ხარჯის ტიპი	ხარჯი (მლნ. ლარი)	წილი, %	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საყიდლები	97.1	34.9	60.7
საკვები და სასმელი	68.3	24.6	42.7
ტრანსპორტი	55.6	20.0	34.8
განთავსება	15.6	5.6	9.8
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	3.1	1.1	1.9
სხვა	38.3	13.8	23.9
სულ ხარჯი	**278.0**	**100.0**	**173.8**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge